

შვილად აყვანის გაუქმებისა და ბათილად ცნობის საფუძვლები

კუხიანიძე ქეთევანი – ასოცირებული პროფესორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

The Basis for Revocation and Invalidation of the Child Adoption

Kukhianidze Ketevani – Associate Professor, Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia

Abstract

Introduction and aim of the research: Introduction and its objective: There are analyzed basis of cancelation of adoption and annulling in the following article. There are reviewed cases discussed by the European Court of Human Rights and Supreme Court which are directly related to this issue. As far as civil disputes are discussed in the court by the rules foreseen by the Code of Civil Procedure. In the following Code, in Chapter XXXV, there are settled the peculiarities of court proceedings in the context of indisputable proceedings where are specifically determined the category of those cases which cares specific features and is characterized by the absence the dispute about the right. Adoption is one of the oldest institutions among the court's cases to be considered through the indisputable proceeding. As far as judicial practice in the direction of cancelation of adoption and annulling is few. For this following paper, we tried to find such kind of court decisions taken by the European Court of Human Rights, as well as by the Supreme Court of Georgia, which are relevant to our research and, at the same time, relevant to practice.

Thus, the objective of our research is to present the theoretical and practical aspects of annulment and cancellation of adoption; analyzing the cases examined by the European Supreme Court and Human Rights in this category of cases and highlighting the role of the guardianship and care authority in the adoption process.

Research methodology: Comparatively legal dialogic methods are used in the article.

Results and implications: Article has practical, theoretical and training methodological value.

Conclusion: Therefore, adoption has high social and moral value and its regulation should not be limited to the imperative requirement of legislation. By studying the legislation of various countries, the scarcity of decisions of the European Court of Human Rights and the Supreme Court of Georgia on the annulment and cancelation of adoption, it is clear that adoption is a very sensitive issue and it is necessary to study it in more depth in order not to disregard child's best interests.

We believe that sharing international experience will help to further settle the adoption of legislation and improve judicial practice.

Key Words: Child adoption, Supreme Court, European Court of Human Rights, Child Guardianship and Care Institution, Russia, Ukrain, Lithuania.

აბსტრაქტი

შესავალი და მიზანი: წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია შვილად აყვანის გაუქმებისა და ბათილობის საფუძვლები. მიმოხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და უზენაეს სასამართლოში განხილული ქეისები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება მოცემულ საკითხს. რამდენადაც სამოქალაქო დავები სასამართლოში განიხილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესების დაცვით. აღნიშნული კოდექსის XXXV თავში დარეგულირებულია სასამართლოს მიერ უდავო წარმოების წესით საქმეთა განხილვის თავისებურებანი, სადაც ზუსტად არის განსაზღვრული იმ საქმეთა კატეგორია, რომლებიც გარკვეული სპეციფიკურობით გამოირჩევა, რაც უფლების შესახებ დავის არარსებობით ხასიათდება.

უდავო წარმოების წესით სასამართლო განსახილველ საქმეთა შორის შვილად აყვანა ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია. რამდენადაც სასამართლო პრაქტიკა შვილად აყვანის ბათილობასა და გაუქმებასთან დაკავშირებულ საქმეებზე ძალზე მწირია. მოცემული ნაშრომისთვის შევეცადეთ მოგვეძიებინა ისეთი სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ არის მიღებული, რომლებიც უკავშირდება ჩვენს კვლევას და, ამავე დროს, უმნიშვნელოვანესია პრაქტიკისთვის.

ამდენად ჩვენი კვლევის მიზანია შვილად აყვანის ბათილობასა და გაუქმებასთან დაკავშირებით თეორიული და პრაქტიკული ასპექტების წარმოჩენა. მოცემული კატეგორიის საქმეებზე უზენაესი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმეების გაანალიზება და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლის გამოკვეთა შვილად აყვანისას.

კვლევის მეთოდოლოგია: სტატიაში გამოყენებულია ლოგიკური და შედარებითი სამართლებრივი მეთოდები.

შედეგები და გამოყენება: სტატიაში აქვს პრაქტიკული, თეორიული და სასწავლო მეთოდური მნიშვნელობა.

დასკვნა: ამდენად, შვილად აყვანა მაღალი სოციალურ-ზნეობრივი ღირებულებაა და მისი რეგულირება მხოლოდ კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნით არ უნდა შემოიფარგლოს. სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის შესწავლით, შვილად აყვანის ბათილად ცნობისა და გაუქმების შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების სიმწირის მაჩვენებლით თვალნათელია, რომ შვილად აყვანა ძალზედ სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს და აუცილებელია საკითხისადმი სიღრისეული შესწავლა, რათა არ მოხდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უგულვებელყოფა.

მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო გამოცდილებების გაზიარება ხელს შეუწყობს შვილად აყვანის საკითხის კიდევ უფრო მეტად დარეგულირებას და სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: შვილად აყვანა, უზენაესი სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რუსეთი, უკრაინა, ლატვია

1. შვილად აყვანის გაუქმების საფუძვლები

შვილად აყვანასთან დაკავშირებით სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა წარმოებს ორი ფორმით, როგორცაა: შვილად აყვანის გაუქმება და ბათილად ცნობა. მათ შორის განსხვავება შინაარსში მდგომარეობს. გაუქმება გულისხმობს შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას, რაც ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც არ გამორიცხავს იმას, რომ საფუძვლად დაედოს სასამართლო წარმოების განახლება, ხოლო ბათილობა კი ნიშნავს მის აღიარებას ისეთ ფაქტად, რომელსაც არავითარი უფლება-მოვალეობა არავის მიმართ არ წარმოუშვია.¹

შვილად აყვანის გაუქმება კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვან და სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს, რადგან ამით კიდევ უფრო მეტად ვეხებით შვილად აყვანილის ინტერესებს და მის სულიერ მდგომარეობას. თუმცა იცხოვრო იქ, სადაც არასასურველი გარემოა და აიტანო ის მდგომარეობა, რაც ვნებს ბავშვის ინტერესებს, ნამდვილად არასასურველია. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან შვილად აყვანის გაუქმების შესაძლებლობაც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული. უმთავრეს გამომწვევ მიზეზს შვილად აყვანის გაუქმებისას ბავშვის ინტერესების დაუცველობა წარმოადგენს, რაც განსხვავებულ ქმედებებში შესაძლოა იყოს ასახული. თუმცა ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ბავშვის აზრისა და სურვილის გათვალისწინება უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს. შვილად აყვანის გაუქმება მიმართულია ნაშვილებსა და მშვილებლებს შორის უფლება-მოვალეობათა შეწყვეტისაკენ, რაც მიღწეული შესაძლოა გახდეს მხოლოდ სასარჩელო წარმოების გზით.² „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველ პუნქტში პირდაპირ არის ჩამოთვლილი ის კრიტერიუმები, თუ რის გამოა შესაძლებელი შვილად აყვანის სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება

¹ შენგელია რ., შენგელია ე. 2009. საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა). თბილისი: მერიდიანი, გვ 327

² საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2017. საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ. (N746-III-2017). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე

პირველი, შეეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც მშვილებელი (მშვილებლები) არ ასრულებს (არ ასრულებენ) მისთვის (მათთვის) დაკისრებულ მშობლის მოვალეობებს, მეორე როდესაც მშვილებლის (მშვილებლების) მოთხოვნის შემთხვევაში, როდესაც მშვილებლის (მშვილებლების) და ნაშვილების თანაცხოვრება შეუძლებელია და მესამე თუ ამას ითხოვს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნაშვილების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

შვილად აყვანის ბათილად ცნობისა და გაუქმების შესახებ საქმის განხილვაში ყველა შემთხვევაში მონაწილეობს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, ხოლო სასამართლო კი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ნაშვილების ინტერესების შესაბამისად. განსაზღვრულია ასევე შვილად აყვანის გაუქმების თაობაზე განცხადების წარმდგე პირთა წრეც³, რომელშიც შედიან როგორც ნაშვილები, მისი ბიოლოგიური მშობელი (მშობლები), მშვილებელი(მშვილებლები), ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, თუ ეს აუცილებელია ნაშვილების საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

მოპასუხე მხარედ, რა თქმა უნდა, მშვილებლები გვეგვილინიან. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არის ნაშვილების ბიოლოგიური მშობელი (ბიოლოგიური მშობლები) და მისთვის (მათთვის) უცნობია მშვილებლის (მშვილებლების) ვინაობა, საქართველოს კანონის „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ 68–ე მუხლის მეექვსე პუნქტის თანახმად, შვილად აყვანის გაუქმების მოთხოვნით განცხადება წარედგინება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების ადგილის მიხედვით.⁴

1.1 რუსეთი

საინტერესოა ამ მხრივ რუსეთის კანონმდებლობა, რომელიც გარკვეულწილად განსხვავებულად არეგულირებს შვილად აყვანის გაუქმების საკითხებს. გაუქმების საკითხის დაყენების უფლება აქვთ როგორც 14 წელს მიღწეულ ბავშვს, ასევე ბიოლოგიურ მშობლებს, მშვილებლებს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და პროკურორს. შვილად აყვანის გაუქმებას სასამართლო იხილავს სარჩელის წარდგენის საფუძველზე. თუკი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება დაკმაყოფილებული იქნება 3 დღის ვადაში, ამონაწერი გადაეცემა სარეგისტრაციო ორგანოს, სადაც მოხდა თავდაპირველი შვილად აყვანის რეგისტრაცია.⁵

შვილად აყვანის გაუქმებით წყდება როგორც ქონებრივი, ასევე პირადი არაქონებრივი ურთიერთობები მშვილებელთან, თუმცა არსებობს გამონაკლისები, როდესაც ეს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარეობს: ბავშვისთვის სახელის, გვარის და მამის სახელის დატოვება და ალიმენტის დაკისრება მშვილებლისთვის არასრულწლოვანი ბავშვის მიმართ.

2. 1. შვილად აყვანის ბათილობის საფუძვლები

საქართველოს კანონმდებლობა, გარდა შვილად აყვანის გაუქმებისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ითვალისწინებს შვილად აყვანის ბათილად ცნობის საფუძვლებსაც. საქართველოს კანონის „შვილად

³ ჭანტურია ლ. (რედ.) 2000. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეხუთე. თბ.: სამართალი, გვ 283

⁴ საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2017. საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ. (N746-III-2017). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე

⁵ Консультант По Семейному Праву РФ. Основания и порядок отмены усыновления в России, <http://ksprf.com/deti/usinovlenie/osnovaniya-i-poryadok-otmeny.html> (19.08.2019)

აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" 67– ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია კონკრეტულად ის საფუძვლები, რომლებიც არის ამომწურავი, თუ რის გამოა შესაძლებელი შვილად აყვანა ბათილად იქნეს ცნობილი. ესენია: სასამართლო გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ, რომელიც ემყარება ყალბ დოკუმენტებს, ასევე, როდესაც შვილად აყვანა ფიქციურია ან თუ შვილად აყვანა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით განხორციელდა.⁶

შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე გავრცელებულ საფუძველს შვილად აყვანის ბათილობისა წარმოადგენს ყალბ დოკუმენტებზე დაყრდნობით სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა შვილად აყვანის შესახებ და ასევე ფიქციაც. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც შვილად აყვანა არ მოიცავს იმ მიზანს, რასაც მშვილებელსა და ნაშვილებს შორის ურთიერთობა წარმოშობს. იმის გამო, რომ ნაშვილების ინტერესები უმნიშვნელოვანესია შვილად აყვანის ბათილად ცნობისას, სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, არის თუ არა თანახმა ბათილობაზე 10 წლის ასაკს მიღწეული ნაშვილები და რამდენად შეესაბამება შვილად აყვანის ბათილად ცნობა მის ინტერესებს. რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანია ასევე ისიც, თუ როდიდან ჩაითვლება შვილად აყვანა ბათილად, რადგან თავად ბათილობა ნიშნავს იმას, რომ იგი არასდროს არ ჩათვლიდა ნამდვილად არსებულად და არავითარი უფლება–მოვალეობები მშვილებელსა და ნაშვილებს შორის არ წარმოშობილა. შესაბამისად, შვილად აყვანა ბათილად ითვლება შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს მიერ პირველი გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან. ნათელია, რომ ასეთ დროს მთლიანად აღდგება ყველა უფლება–მოვალეობა ყოფილ ნაშვილებსა და მის ბიოლოგიურ მშობლებს, აგრეთვე წარმოშობით ნათესავებს შორის და სასამართლოს გადაწყვეტილებით ბავშვი ან დაუბრუნდება ბიოლოგიურ მშობლებს, ან გადაეცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, სადაც ნებისმიერ შემთხვევაში 10 წლის ან 10 წელზე მეტი ბავშვის ინტერესები გათვალისწინებული უნდა იქნეს.⁷ ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად წარმოჩნდა, რომ ბათილობისა და გაუქმების საფუძვლები ერთმანეთისგან მკვეთრად არის გამიჯნული და დეტალურად არის დარეგულირებული და საქართველოს კანონით „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“.

2017 წელს საქართველოს კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ განხორციელებული ცვლილება ბათილობისა და გაუქმების საფუძვლების გამიჯვნასთან დაკავშირებით ჩვენი აზრით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, რადგან ამით ხაზი გაესვა შვილად აყვანის როგორც სპეციფიკურ და მეტად სენსიტიურ საკითხს.

2.2 უკრაინა

უკრაინის კანონმდებლობის თანახმად, შვილად აყვანის ბათილად ცნობის მოთხოვნის დაყენების უფლება აქვს 14 წლის ასაკის არასრულწლოვანს, სრულწლოვან პირს, მშობლებს, მშვილებლებს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და პროკურორს. მნიშვნელოვანია ის, რომ შვილად აყვანის ბათილად ცნობას გააჩნია უკუეფექტი, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არასდროს არ ჩაითვლება ნამდვილად არსებულად, რომ არავითარი უფლება–მოვალეობები მშვილებელსა და ნაშვილებს შორის არც წარმოშობილა. უკრაინის საოჯახო კოდექსის 217–ე–218–ე მუხლების თანახმად, შვილად აყვანა ბათილად იქნება ცნობილი, თუ არ იქნება სახეზე შვილად ასაყვანი ბავშვის თანხმობა და ბიოლოგიური მშობლებისა, რაც სავალდებულო იყო. ბათილად ცნობა წარმოებს მაშინაც, თუკი არსებობს ფიქტიური ურთიერთობა. ეს იმას ნიშნავს, რომ შვილად აყვანა თუმცა ფორმალურად აკმაყოფილებს კანონის

⁶ . საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2017. საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ. (N746-III-2017). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე

⁷ შენგელია რ. შენგელია ე. 2013. საოჯახო სამართალი. თბილისი: მერიდიანი, გვ 335-336

მოთხოვნებს, მაინც არ წარმოშობს ნამდვილ ურთიერთობებს. შვილად აყვანის ბათილობის საფუძველზე ასევე, თუკი შვილად აყვანა განხორციელდა ყალბი დოკუმენტების საფუძველზე. ყალბი დოკუმენტები შესაძლოა იყოს: ცნობა მშვილელების ჯანმრთელობის შესახებ, ოჯახის შესახებ დასკვნა, წერილობითი თანხმობა მშობლების გაშვილებაზე და სხვა. ყალბად ჩაითვლება ასევე დოკუმენტი, რომელიც თითქოს ადასტურებს მშვილელების თანხმობას შვილად აყვანის შესახებ, სინამდვილეში შვილად აყვანის შესახებ ერთ-ერთმა მეუღლემ გამოთქვა სურვილი, –მეორე კი წარადგინა შვილად აყვანის მსურველმა. შვილად აყვანის გაუქმებისას წყდება ნაშვილებსა და მშვილებელს, აგრეთვე მათ ნათესავებს შორის არსებული ურთიერთუფლებები და მოვალეობები, ხოლო აღდება ურთიერთ-უფლება–მოვალეობანი შვილსა და მის მშობლებს, აგრეთვე ნათესავებს შორის. ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვი გადაეცემა მშობლებს, ხოლო თუ ეს ეწინააღმდეგება მის ინტერესებს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. სასამართლო ასევე წყვეტს ბავშვის ინტერესების შესაბამისად შვილად აყვანისას ბავშვისთვის მიკუთვნებული გვარისა და სახელის შენარჩუნების საკითხს.⁸

შვილად აყვანის გაუქმებისა და ბათილად ცნობის საფუძველები არაერთ ცნობილ ავტორთა ა.ი პერგამენტის, მალცმანის, ვ. რასენცევას და სხვათა ნაშრომებში იქნა განხილული. ავტორთა ძირითადი ნაწილი საერთო ხედვას აყალიბებს შვილად აყვანის გაუქმებისა და ბათილობის საკითხებზე. ა.ი. პერგამენტი აღნიშნავს, რომ შვილად აყვანის გაუქმების დროს უფლებები და მოვალეობანი წყდება მომავალში, ხოლო ბათილობის დროს იგულისხმება, რომ არასდროს არ ჩათვლილა არსებულად, რომ არავითარი უფლება–მოვალეობები, მშვილებელსა და ნაშვილებს შორის არც წარმოშობილა. თითქმის იდენტური მოსაზრება გააჩნია გ. ბასინს, რომელიც აღნიშნავს, რომ ის უფლება–მოვალეობები, რაც თან სდევს შვილად აყვანას, იგულისხმება, რომ საერთოდ არ წარმოშობილა ბათილად ცნობის დროს.⁹

3.1 ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მიდგომა შვილად აყვანის ბათილად ცნობასა და გაუქმების საქმეებთან დაკავშირებით

3.1.1 შვილად აყვანის ბათილად ცნობა

საქმე ეხება შვილად აყვანილის დის ინიციატივით პირის შვილად აყვანის ბათილად ცნობას. აღნიშნული განხორციელდა მისი შვილად აყვანიდან 31, ხოლო მშვილებელი დედის გარდაცვალებიდან 18 წლის შემდეგ. მომჩივანი დავობდა, რომ მისი შვილად აყვანის ბათილად ცნობა თვითნებობას და მის ოჯახურ ცხოვრებაში არაპროპორციულ ჩარევას წარმოადგენდა. მან განაცხადა, რომ მშვილებელ დედასთან ერთად 9 წლის ასაკიდან ცხოვრობდა და რომ მათი ურთიერთობა დაფუძნებული იყო სიყვარულზე, პასუხისმგებლობასა და ორმხრივ მხარდაჭერაზე. მომჩივანი, ასევე, დავობდა, რომ შვილად აყვანის ბათილად ცნობის შემდეგ, მან დაკარგა საკუთრების უფლება ტყის ხუთ ჰექტარზე, რომელიც მან მშვილებელი დედისაგან მემკვიდრეობით მიიღო. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ევროპულ სასამართლოს შვილად აყვანის გაუქმებაზე უნდა ემსჯელა იმ კონტექსტში, როდესაც მშვილებელი დედა გარდაცვლილი იყო, ხოლო შვილად აყვანილ ბავშვს დიდი ხანია მიღწეული ჰქონდა სრულწლოვანების ასაკს. მომჩივნის საქმეზე, სტრასბურგის სასამართლომ 2015 წლის 14 მარტს დაადგინა, რომ

⁸ Семейное право. Недействительность усыновления http://bookwu.net/book_semejnoepravo_725/58_5_-nedejstvitelnost-usynovleniya. (15.08.2019)

⁹ Усыновление (удочерение) в семейном праве Республики Казахстан. Глава 3 недействительность усыновления (удочерения) 2007.

შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება ბუნდოვანი იყო და რომ ასეთი რადიკალური ღონისძიების გატარება არ იყო გამართლებული. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა არ იყო გამართლებული შესაბამისი და საკმარისი მიზეზებით. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, შვილად აყვანის გაუქმება შვილად აყვანილი ბავშვის საწინააღმდეგოდ გასატარებელ ღონისძიებად არც უნდა იყოს გათვალისწინებული და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამართლებრივ დებულებებსა და შვილად აყვანასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში, ბავშვის ინტერესს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. სტრასბურგის სასამართლომ, ასევე დაადგინა, რომ სადავო მიწაზე მომჩივნის საკუთრების უფლებაში არაპროპორციული ჩარევის საფუძველზე, ადგილი ჰქონდა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (საკუთრების დაცვა) დარღვევას.¹⁰

3.1.2 შვილად აყვანის გაუქმება

კერძოდ, განმცხადებელმა ვლადისლავ ვოლოდიმროვიჩ კუროჩკინმა და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ვ.–მ შვილად აიყვანეს ობოლი ბიჭი ვ.ჯ., დაბადებული 1993 წელს. რამდენადაც ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა, კუროჩკინმა გადაწყვიტა მასთან ოფიციალურად განქორწინება. შესაბამისად, 2007 წლის 6 მარტს წყვილი საბოლოოდ განქორწინდა, ხოლო 2007 წლის 20 ივლისს განმცხადებელი ხელახლა დაქორწინდა ქალბატონ ვ.–ზე. ყოფილმა ცოლმა ვ.–მ მიმართა სასამართლოს შვილად აყვანის გაუქმებასთან დაკავშირებით. შვეჩენკის სასამართლომ 2007 წლის 9 აგვისტოს მიიღო წარმოებაში განმცხადებლის ყოფილი ცოლის განცხადება შვილების გაუქმებაზე, რაც ემყარებოდა უკრაინის საოჯახო კოდექსის 238–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტს. აღნიშნავდა, რომ ურთიერთობა შვილად აყვანილსა და მშვილებელ დედას შორის გართულებული იყო და შეუძლებელი იყო მათი ერთ ოჯახად ცხოვრება, ბავშვი მასზე ძალადობდა, რასაც მისი ყოფილი მეუღლე არცკი ეწინააღმდეგებოდა. სასამართლოში წარმოდგენილი იყო ასევე ქალბატონ ვ.–ს სამედიცინო დასკვნა მის მიმართ ძალადობის კვალის არსებობის შესახებ. სასამართლო ასევე ემყარებოდა მეზობლების ჩვენებებს და ვ.ჯ.–ს შესახებ სკოლის მოხსენებას, გაკეთებულს 2006 წლის 9 აგვისტოს, სადაც მითითებული იყო, რომ ის ახორციელებდა თავის კლასელებზე აგრესიულ ქმედებებსა და ცემას. სწორედ ამიტომ შესაბამისმა ორგანოებმა დაუკმაყოფილეს ქალბატონ ვ.–ს შვილად აყვანის გაუქმებაზე განცხადება, რაც ახსნილი იყო იმით, რომ ეს ბავშვის საკეთილდღეოდ ხდებოდა. მისი სარჩელი გასაჩივრებულ იქნა როგორც ყოფილი ქმრის, ასევე შვილად აყვანილის მიერ, რომელსაც სურდა გაეგრძელებინა ცხოვრება მშვილებელ დედასთან ერთად. სასამართლომ გააუქმა ასევე შვილად აყვანა კუროჩკინის მიმართაც, რაც ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვით იქნა ახსნილი, მათ მიიჩნიეს, რომ კუროჩკინი ვერ ახდენდა ბიჭზე დადებით გავლენას და მის ნორმალურ პიროვნულ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვს სურდა მშვილებელ მამასთან დარჩენა და ერთ ოჯახად ცხოვრება, რაც დააფიქსირა კიდევ სასამართლო სხდომაზე, სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვის აგრესიული მოქმედება მშვილებელი დედის მიმართ არ იყო დაგმობილი მის მიერ, რაც ქალთა მიმართ ნეგატიურ წარმოდგენას აღვივებდა, რაც მცდარ წარმოდგენას უქმნიდა ოჯახურ ურთიერთობებზე. სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვი უნდა გადაცემოდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, რათა მათ განეთავსებინათ იგი სპეციალიზებულ დაწესებულებაში. თუმცა, მიუხედავად ამისა, ვ.ჯ. განაგრძობდა განმცხადებელთან ცხოვრებას და არასოდეს მოქცეულა სხვისი მზრუნველობის ქვეშ.

¹⁰ Case of Zaet v. Romania (Application no. 44958/05) <https://lovdata.no/static/EMDN/emd2005-044958.pdf> (24.03. 2018)

2007 წლის 28 აგვისტოს შევჩენკივსკის სასამართლომ ბინა გაუყო განმცხადებელსა და ქალბატონ ვ.ს. მათ მიიღეს თითო ოთახი ბინიდან, ხოლო სხვა ქონება საერთო გამოყენებაში დატოვეს. 2008 წლის 3 ივნისს შევჩენკივსკის ოლქის კიევის სახელმწიფო ადმინისტრაციამ კუროჩკინის და ვ.ჯ.-ს მოთხოვნის საფუძველზე დაინიშნა კუროჩკინი ვ.ჯ.-ს მეურვედ. როგორც მეურვეს, ვ.ჯ.-ზე უნდა განეხორციელებინა „მისი უფლებებისა და საკუთრების დაცვა“, ამასთან, განეხორციელებინა ფინანსური მხარდაჭერა და ბიჭის ზრდა-განვითარება." კუროჩკინმა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და მოითხოვდა კონვენციის მე-6 მუხლის, მე-7 მუხლის და მე-8 მუხლის საფუძველზე დარღვეული უფლების აღდგენას. მიიჩნევდა, რომ შვილად აყვანის გაუქმება მასსა და ვ.ჯს შორის იყო უკანონოდ განხორციელებული, რის გამოც დაირღვა ოჯახური ურთიერთობა მასა და შვილად აყვანილს შორის, რაც ასევე გამოწვეული იყო იმით, რომ არ იყო გათვალისწინებული ბავშვის ინტერესებიც. ყოველ მიზეზ გარეშე ბავშვის ინტერესს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე და 2010 წლის 20 მაისს დაადგინა, რომ: დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლის მეორე პუნქტი და კონვენციის 41-ე მუხლის („სამართლიანი დაკმაყოფილება“) თანახმად, მოპასუხე სახელმწიფოს დაეკისრა განმცხადებლის სასარგებლოდ 6000 ევროს გადახდა მორალური ზიანისათვის.¹¹

4.1 შვილად აყვანის გაუქმების საკითხები საზღვარგარეთის ქვეყნებში

4.1.1. გერმანია

მაგ. გერმანიაში შვილად აყვანის საქმის განხილვას ახორციელებს საოჯახო საქმეთა სასამართლო, რომელიც ვალდებულია გამოიკვლიოს შვილად აყვანასთან დაკავშირებული მთელი რიგი გარემოება. იმისათვის, რომ შვილად აყვანის საქმე განხილული იქნეს, მშვილეებელი განცხადებით მიმართავს საოჯახო საქმეთა სასამართლოს. ამავე სასამართლოს პრეროგატივაა შვილად აყვანის გაუქმების საფუძველების განხილვაც, რომელიც რეგულირდება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1760-ე-1763-ე მუხლებით. ამავე კოდექსის 1760-ე მუხლის თანახმად, განცხადების საფუძველზე შვილად აყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობა საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ შეიძლება გაუქმდეს, თუ იგი დადგენილ იქნა მშვილეებლის განცხადების, ბავშვის თანხმობისა თუ მშობლის აუცილებელი თანხმობის გარეშე. 2) განცხადება ან თანხმობა სამართლებრივი ძალის არმქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: ა) განცხადებელი განცხადების გაკეთების მომენტში იმყოფებოდა დაკარგული ცნობიერების ან დროებითი ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში, თუ განცხადებელი იყო ქმედუუნარო, ანდა ბავშვმა, რომელიც იყო ქმედუუნარო ან რომელსაც არ მიუღწევია 14 წლის ასაკისთვის, თავად განაცხადა თანხმობა. ბ) განცხადებელმა არ იცოდა, რომ საქმე ეხებოდა შვილად აყვანას ან მართალია, იცოდა ამის შესახებ, მაგრამ მას არ სურდა შვილად აყვანის შესახებ განცხადების წარდგენა ან შვილად აყვანაზე თანხმობის მიცემა, ანდა მშვილეებელი ცდებოდა, შვილად ასაყვანი ბავშვი ცდებოდა მშვილეებლის პიროვნებასთან დაკავშირებით; გ) განმცხადებელი დაიყოლიეს განცხადების გაკეთებაზე არსებითი გარემოებების თაობაზე განზრახ შეცდომაში შეყვანით; დ) განმცხადებელი განცხადების გაკეთებაზე დაიყოლიეს მართლსაწინააღმდეგო იძულებით; ე) განმცხადებელმა თანხმობა განაცხადა მანამ, სანამ ბავშვს შეუსრულდა 8 კვირა; 3) შვილად აყვანის გაუქმება გამორიცხულია, თუ ქმედუუნარობის, დაკარგული ცნობიერების, ფსიქიკური აშლილობის, იძულების შედეგად შექმნილი მაიძულებელი მდგომარეობის შეწყვეტის, შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში გათვალისწინებული ვადის გასვლის

¹¹ Case Of Kurochkin v. Ukraine <http://caselaw.echr.globe24h.com/0/0/ukraine/2010/05/20/case-of-kurochkin-v-ukraine-98825-42276-08.shtml> (11.08.2019)

შემდეგ განცხადება ან თანხმობა, ან სხვაგვარად გახადა ცნობილი ის, რომ შვილად აყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობა უნდა შენარჩუნდეს. 4) გარდა ამისა, არსებითი გარემოებების თაობაზე განზრახ შეცდომაში შეყვანის გამო შვილად აყვანის გაუქმება გამორიცხულია, თუ შეცდომა ეხებოდა მშვილელის ან ბავშვის ქონებრივ მდგომარეობას, ან თუ შეცდომაში შეყვანა განცხადების წარდგენასა თუ თანხმობის მიცემაზე უფლებამოსილი პირის მხრიდან ამ ფაქტის შეტყობის გარეშე მოხდა იმ პირის მიერ, ვინც არ იყო უფლებამოსილი, როგორც განცხადების წარდგენასა თუ თანხმობის მიცემაზე, ისე – შვილად აყვანის შუამავლობაზე. 5) თუ შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ივარაუდება, რომ ერთ–ერთი მშობელი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უუნაროა, გააკეთოს შესაბამისი განცხადება ან მისი ადგილსამყოფელი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უცნობია, მაშინ შვილად აყვანის გაუქმება გამორიცხულია, თუ მშობელმა დაადასტურა თავის თანხმობა ან სხვაგვარად გახადა ცნობილი ის, რომ შვილად აყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობა უნდა შენარჩუნდეს. შვილად აყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობა არ უნდა გაუქმდეს, თუ ამით შეიძლება საფრთხე შეექმნას ბავშვის კეთილდღეობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გაუქმება ითხოვს მშვილელის არსებითი ინტერესები.¹²

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1763-ე მუხლის თანახმად, შვილად აყვანა უქმდება სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით. კერძოდ, ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვის არასრულწლოვანების განმავლობაში საოჯახო სასამართლოს შეუძლია შვილად აყვანის დროს არსებული ურთიერთობები საკუთარი ინიციატივით გააუქმოს, თუ ეს მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისათვის. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ბავშვი აყვანილ იქნა შვილად დაქორწინებული წყვილის მიერ, მაშინ შეიძლება ასევე გაუქმდეს ბავშვსა და ერთ–ერთ მშობელს შორის შვილად აყვანის დროს არსებული ურთიერთობა. ხოლო შვილად აყვანის დროს არსებული ურთიერთობა შეიძლება ასევე გაუქმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლე ან ბიოლოგიური მშობელი მზად არიან იკისრონ ბავშვის მოვლა და აღზრდა იმ პირობით, რომ მათ მიერ მშობლის ზრუნვის განხორციელება არ იქნება შეუსაბამო ბავშვის კეთილდღეობისათვის ან თუ შვილად აყვანის გაუქმებამ უნდა გაამარტივოს ბავშვის თავიდან შვილად აყვანა.¹³ შვილად აყვანის გაუქმების სამართლებრივი შედეგები დგება მხოლოდ მომავლისათვის და ის ნათესაური ურთიერთობა, რაც არსებობდა, წყდება და უქმდება. ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე, უფლებები და მოვალეობები. ამავე დროს განახლდება ბავშვისა და მისი შთამომავლების ნათესაური ურთიერთობა ბავშვის ბიოლოგიურ ნათესავეებთან და ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები მშობლის ზრუნვის გამოკლებით¹⁴.

4.1. 2 ლატვია

ლატვიაში შვილად აყვანის ცნობისა და გაუქმების შესახებ განიხილება დახურულ სასამართლო სხდომაზე. ლატვიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის თანახმად, შვილად აყვანაზე განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს მშვილელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო განცხადება შვილად აყვანის გაუქმების შესახებ ერთ–ერთი განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ შვილად აყვანის შემდგომ მშვილელსა და შვილად

¹² ჭეჟელაშვილი ზ.(რედ.) 2010. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. თბილისი: სიესტა. <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf> [23/08/2019]

¹³ ჭეჟელაშვილი ზ.(რედ.) 2010. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. თბილისი: სიესტა. <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf> [23/08/2019]

¹⁴ ჭეჟელაშვილი ზ.(რედ.) 2010. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. თბილისი: სიესტა. <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf> [23/08/2019]

აყვანილს შორის არ წარმოშობილა ისეთივე ურთიერთობა, როგორც მშობელსა და შვილს შორის, მას შემდეგ, რაც სასამართლო გადაწყვეტილება შვილად აყვანის გაუქმების შესახებ შევა ძალაში, იმ დღიდან შვილად აყვანა წყდება. ხოლო სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლის თანახმად, შვილად აყვანის გაუქმების შემდეგ ურთიერთობები ბიოლოგიურ მშობლებთან, ნათესავებთან აღდგება და უბრუნდება საწყის მდგომარეობას. თუკი სახელის, გვარისა და პირადი ნომრის შეცვლა მოხდა შვილად აყვანის დროს, სასამართლოს შეუძლია დატოვოს შვილად აყვანის პირის ინტერესებიდან გამომდინარე ეს ინფორმაცია ძალაში.¹⁵

4.1.3 რუსეთი

შვილად აყვანა უქმდება რუსეთის საოჯახო კოდექსის 140-ე მუხლის თანახმად სასამართლოში უდავო წარმოების წესის დაცვით. შვილად აყვანის გაუქმების მოთხოვნის უფლება აქვს: ბავშვის მშობლებს, მშვილებლებს, ბავშვს, რომელმაც მიაღწია 14 წლის ასაკს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და პროკურორს. შვილად აყვანის გაუქმების შესახებ საქმის განხილვა წარმოებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და ასევე პროკურორის აუცილებელი მონაწილეობით. შვილად აყვანის გაუქმების საფუძვლებია: 1) მშვილებლის მოვალეობის შესრულებაზე თავის არიდება; 2) მშობლის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. 3) სასტიკი მოპყრობა შვილად აყვანილის მიმართ. 4) მშვილებლის ავადმყოფობა, ალკოჰოლიზმი, ნარკოდამოკიდებულება. შვილად აყვანა წყდება სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილების ამონაწერი ეგზავნება 3 დღის ვადაში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს შვილად აყვანის რეგისტრაციის მიხედვით.¹⁶ შვილად აყვანის გაუქმება შესაძლებელია ბავშვის სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

5. 1 საქართველოში შვილად აყვანის ბათილად ცნობის შესახებ სასამართლო პრაქტიკა

2004 წ. 9 სექტემბერს ა. ტაბატაძემ და ნ. კუბლაშვილმა სარჩელი აღძრეს რაიონულ სასამართლოში მ. სირბილაძის წინააღმდეგ შვილად აყვანის ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნით, იმაზე მითითებით, რომ მოსარჩელები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1997 წლიდან, მაგრამ შვილები არ ჰყავდათ, არიან პენსიონერები. მათ 1997 წ. 13 ნოემბერს კომლის წევრად ჩაიწერეს მოპასუხე მ. სირბილაძე, რომელიც ფაქტობრივად ცხოვრობდა მშობლების ოჯახში. მოსარჩელების განცხადებით, ეს უკანასკნელი შვილად აიყვანეს ფიქტიურად. ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ მშობლების თხოვნით 21 წ. მ. სირბილაძის შვილად აყვანა განხორციელდა იმისთვის, რომ მას ესარგებლა შეღავათით და არ ყოფილიყო გაწვეული სამხედრო სავალდებულო სამსახურში. აქედან გამომდინარე, შვილად აყვანა არ ისახავდა მიზნად შესაბამისი ურთიერთობის წარმოშობას, სანაცვლოდ მ. სირბილაძე და მისი მშობლები მოსარჩელებს დაჰპირდნენ, რომ დაეხმარებოდნენ როგორც ფიზიკურად, ასევე, მატერიალურად, ვინაიდან მოსარჩელები იყვნენ მარტოხელა პენსიონერები, ასევე გადაუხდიდნენ ყოველგვარ გადასახადებს და შვილად ასაყვანი მზრუნველობას გაუწევდა მათ. მოსარჩელეთა ნათქვამს ადასტურებდა თერჯოლის რაიონის სოფ. სიქთარვაში მცხოვრები ექვსი ფიზიკური პირი. ა. ტაბატაძე და ნ. კუბლაშვილი სკ 1272– 161 ე მუხლის თანახმად, ითხოვდნენ შვილად აყვანის ბათილად ცნობას. თავის წერილობით შესაგებელში მოპასუხე მ. სირბილაძემ სარჩელი არ ცნო. საკასაციო პალატამ არ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სკ –ის 1272 –ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და იმავე კოდექსის 1239-ე მუხლის მე-2 ნაწილი. 1239-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სრულწლოვანი პირის შვილება

¹⁵ Latvijas Republikas Labklājības Ministrija. The Civil Law of Latvia. <http://www.lm.gov.lv/text/1125/> (13.08.2019)

¹⁶ Кодексы и Законы РФ. Тайна Усыновления. <http://www.zakonrf.info/sk/139/> (12.08.2019)

შესაძლებელია, თუ მშვილბელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილბელის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილბა ზნეობრივად გამართლებულია. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ შვილბის აუცილებელი პირობა მშვილბელსა და შვილად ასაყვანს შორის მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობის არსებობაა. საქმეში არსებული მტკიცებულებით, კერძოდ კი მოწმეთა ჩვენებებით, მ. სირბილამისა და მოსარჩელეთა ასეთი სახის ურთიერთობა დადასტურებულ არ არის. მშობლისა და შვილის ურთიერთობა მეტად სპეციფიკური ურთიერთობაა და ამ შემთხვევაში მშვილბელსა და შვილად ასაყვანს შორის არსებული კარგი ურთიერთობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ასეთი ურთიერთობის დამადასტურებელ ერთადერთ გარემოებად.შესაბამისად სკ-ის 1272-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ბათილად უნდა იქნეს მიჩნეული შვილად აყვანა. სკ-ის 1259-ე მუხლის თანახმად, ნაშვილები და მისი ნათესავები ნაშვილებისა და მისი შთამომავლების მიმართ პირადი და ქონებრივი უფლება- მოვალეობებით უთანაბრდებიან შთამომავლებს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, თუ ბათილად არ იქნება ცნობილი შვილად აყვანა, მ. სირბილამეს ქონებრივი უფლებები წარმოეშობა მშვილბელთა მიმართ, რაც, ბუნებრივია, ლახავს ამ უკანასკნელთა უფლებებს. ამდენად, მხოლოდ იმ გარემოების დადგენა, რომ შვილად აყვანა ფიქტიურია, საკმარისია შვილობის გასაბათილებლად, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზეზი დაედო საფუძვლად შვილად აყვანის ფაქტს. ამდენად სასამართლოს მიერ გამოთქმული ვარაუდი გადაწყვეტ გავლენას ვერ მოახდენს დავის გადაწყვეტაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი და იგი უცვლელად ტოვებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებას, რომელმაც თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ სკ-ის 1272 -ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით შვილად აყვანა შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი იმ შემთხვევაში, თუ შვილად აყვანა ფიქტიურია. პალატის განმარტებით კი ფიქტიურობა ნიშნავს იმას, რომ მშვილბელსა და ნაშვილებს შორის არ არსებობს მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა და შვილად აყვანით მათ სურდათ გარკვეული სარგებლის მიღება და კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება.¹⁷

5.1 .1 შვილად აყვანის გაუქმებისა და ბავშვის დაბრუნების შესახებ სასამართლო პრაქტიკა

2006 წლის 26 ივნისს ა. კ-კომ სარჩელით მიმართა ხობის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების ი. და გ. ც-ების მიმართ შვილად აყვანის გაუქმებისა და ბავშვის დაბრუნების თაობაზე. მოსარჩელის განმარტებით, 1996 წლიდან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა თ. ვ-იასთან, რომელთანაც 1997 წლის 15 იანვარს შეეძინა შვილი. ბავშვი მისგან დამოუკიდებლად, კანონის უხეში დარღვევით, გააშვილეს ხობის რ-ნის სოფ. ... მცხოვრები გ. ც-იას ოჯახში. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ბავშვის აყვანისათვის საჭირო იყო დედის წერილობითი თანხმობა, რომელიც უნდა გადაეცა შვილის დაბადებიდან 6 კვირის შემდეგ. მას ბავშვის გაშვილება აზრადაც არ მოსვლია. საქართველოში ყოფნისას ყოველთვის ატყუებდნენ, რომ ბავშვი გარდაიცვალა, თუმცა, როგორც მისთვის ცნობილი გახდა, იგი გაშვილებულია და მშვილბელები ი. და გ. ც-იები ბავშვის დაბრუნების წინააღმდეგნი არიან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა. კ-კომ მოითხოვა შვილად აყვანის გაუქმება და ბავშვის დაბრუნება. საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: მოცემულ შემთხვევაში ბავშვი შეეძინა დაუქორწინებელ დედას -ა. კკოს. ქ. ფოთის სამშობიარო სახლის ექიმი ლ-იას მიერ გაიცა საბუთი, თითქოს ბავშვი შეეძინა ი. ც-ას, რის გამოც, ბავშვის დაბადების

¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა განჩინება საქმე #ას 845-1119-05, 26 .12.2005

სააქტო ჩანაწერში ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებად ჩაიწერა ი. და გ. ც-ები. ამდენად, ი. და გ. ც-ებმა თ. ვ-იასთან შეთანხმებით, ასევე, სამშობიარო სახლის ექიმის ხელშეწყობით, ბავშვის დედის ნების საწინააღმდეგოდ, კანონის მოთხოვნათა დარღვევით წაიყვანეს ბავშვი, რითაც დაირღვა დედა-შვილის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. სამოქალაქო კოდექსის 1204-ე მუხლის თანახმად, მშობლებს უფლება აქვთ, მოითხოვონ არასრულწლოვანი შვილის დაბრუნება იმ პირისაგან, რომელიც მას თავისთან ამყოფებს კანონიერი საფუძვლის გარეშე. მშობელთა ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა შვილების პირადად აღზრდის უფლება. მშობლის უფლებების შეზღუდვა ან ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით (სამოქალაქო კოდექსის 1205-1206-ე მუხლები). განსახილველ შემთხვევაში ა. კ-კოს სასამართლოს გადაწყვეტილებით არა აქვს ჩამორთმეული და არც მშობლის უფლება აქვს შეზღუდული. მისთვის კანონით მინიჭებული უფლების დარღვევა განაპირობა მოპასუხეთა უკანონო ქმედებებმა. ისეთ პირობებში კი, როდესაც თვითონ მოპასუხეები უკანონოდ ამყოფებენ ბავშვს თავისთან და თვითონვე არღვევენ ბავშვის ბიოლოგიური დედის უფლებებს, მიზანშეუწონელია ბავშვი აღსაზრდელად დარჩეს მათთან. ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს არც ერთი სამართლებრივი ნორმა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ბავშვის აღსაზრდელად მოპასუხებთან დატოვება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ბავშვის ბიოლოგიურ დედას შეუძლია შეუქმნას ბავშვს აღზრდისა და რჩენის ნორმალური პირობები. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ბავშვს ჰყავს ბიოლოგიური დები და მათი სხვადასხვა ოჯახში აღზრდა გაუმართლებელია. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ბიოლოგიურ დედასთან და დებთან ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს, მშობლიურ გარემოში აღზრდა დადებითად იმოქმედებს ბავშვის ფიზიკურ და სულიერ განვითარებაზე. შესაბამისად, ბავშვი უნდა დაუბრუნდეს ბიოლოგიურ დედას და იზრდებოდეს თავის ბიოლოგიურ დებთან ერთად. ამასთან, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემობას, რომ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების დროს შეიძლება შეიქმნას სირთულეები ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით იმ კუთხით, რომ ა. კ-კოს შვილთან ურთიერთობა არ ჰქონია, მაგრამ პალატა მიიჩნევს, რომ ეს პრობლემა უნდა გადაიჭრას ორივე მხარის მაქსიმალური ძალისხმევით ბავშვის ინტერესების სასარგებლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1192-ე და 1193-ე მუხლების შესაბამისად, ცვლილებები უნდა შევიდეს მ. ც-ას დაბადების სააქტო ჩანაწერში. ასევე მოპასუხეებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე, უნდა დაეკისროს ა. კ-კოს მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი."¹⁸

დასკვნა

ამდენად, შვილად აყვანა მაღალი სოციალურ-ზნეობრივი ღირებულებაა და მისი რეგულირება მხოლოდ კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნით არ უნდა შემოიფარგლოს. სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის შესწავლით, შვილად აყვანის ბათილად ცნობისა და გაუქმების შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების სიმწირის მაჩვენებლით თვალნათელია, რომ შვილად აყვანა ძალზედ სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს და აუცილებელია საკითხისადმი სიღრისეული შესწავლა, რათა არ მოხდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უგულვებელყოფა.

მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო გამოცდილებების გაზიარება ხელს შეუწყობს შვილად აყვანის საკითხის კიდევ უფრო მეტად დარეგულირებას და სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესებას.

¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე საქმე #ას-656-878-08 6.02. 2009

გამოყენებული წყაროები

- [1] შენგელია რ., შენგელია ე. 2009. საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა). თბილისი: მერიდიანი, გვ 327
- [2] საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2017. საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ. (N746-III-2017) თბილისი: საკანონმდებლო მაცნე
- [3] ჭანტურია ლ. (რედ.) 2000. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მეხუთე. თბ.: სამართალი, გვ 283
- [4] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა განჩინება საქმე #ას 845-1119-05 , 26.12.2005
- [5] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე საქმე #ას-656-878-08 6.02. 2009
- შენგელია რ. შენგელია ე. 2013. საოჯახო სამართალი. თბილისი: მერიდიანი, გვ 335-336
- [6] ჭიჭელაშვილი ზ.(რედ.) 2010. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. თბილისი: სიესტა.
<http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf> [23/08/2019]
- [7] Case of Zaet v. Romania (Application no. 44958/05) <https://lovdata.no/static/EMDN/emd2005-044958.pdf> (24.03. 2018)
- [8] Case Of Kurochkin v. Ukraine <http://caselaw.echr.globe24h.com/0/0/ukraine/2010/05/20/case-of-kurochkin-v-ukraine-98825-42276-08.shtml> (11.08.2019)
- [9] Latvijas Republikas Labklājības Ministrija. The Civil Law of Latvia. [http://www.lm.gov.lv/text/1125\(13.08.2019\)](http://www.lm.gov.lv/text/1125(13.08.2019))
- [10] Кодексы и Законы РФ. Тайна Усыновления. <http://www.zakonrf.info/sk/139/>(12.08.2019)
- [11] Консультант По Семейному Праву РФ. Основания и порядок отмены усыновления в России, <http://ksprf.com/deti/usinovlenie/osnovaniya-i-poryadok-otmeny.html> (19.08.2019)
- [12] Семейное право. Недействительность усыновления. http://bookwu.net/book_semejnoepravo_725/58_5.-nedejstvitelnost-usynovleniya. (15.08.2019)
- [13] Усыновление (удочерение) в семейном праве Республики Казахстан. Глава 3 недействительность усыновления (удочерения) 2007.